

## პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში მსხვილფეხა ცხოველთა მოვლა

**პროგრამის ტიპი:** პროფესიული მომზადების ტრენინგი

**ხანგრძლივობა** - 64 საათი (დამოუკიდებელი საათების გარეშე) / 80 საათი (დამოუკიდებელი საათების ჩათვლით)

**განხორციელების ადგილი** - დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარკინეთი

**დაშვების წინაპირობა** -სრული საშუალო განათლება

**პროგრამის მიზანი** - ტრენინგის მიზანია მოქმედი და მომავლი ფერმერებისთვის მსხვილფეხა ცხოველის მოვლის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამყარება. მსმენელები შეისწავლიან ცხოველთან მუშაობის უსაფრთხოების წესებს, სადგომის მოწესრიგებას, ცხოველთა შენახვის სისტემებს, მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშებს და მათი გენეტიკის გაუმჯობესებას, ხბოს გამოზრდას, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მნიშვნელობას, პროფესიონალურ წველას, პროდუქტიულობის აღრიცხვას, მანქანა დანადგარებთან მუშაობას

**დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:** საოჯახო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები

**პროგრამის განხორციელების მეთოდი:** ჰიბრიდული: თეორიული და პრაქტიკული სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში, დისტანციური სწავლება ვიდეო-გაკვეთილების საშუალებით

**კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები:**

1. მსხვილფეხა ცხოველთა შენახვის სისტემების აღწერა
2. მსხვილფეხა ცხოველთა სადგომის მოწესრიგება-დატვირთვა
3. მსხვილფეხა ცხოველთა გენეტიკის და მოშენების კანონზომიერებების აღწერა
4. ცხოველთა გამრავლება
5. მსხვილფეხა ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია

6. მსხვილფეხა ცხოველთა საკვებზე მოთხოვნილების აღწერა
7. პროფესიონალური წველა და ხარისხიანი რძის მიღება

**შეფასების ინსტრუმენტები:** პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, ზეპირი და წერილობითი გამოცდა

**სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში:** 12-15 სტუდენტი

**ტრენინგის ხელმძღვანელი:** ნატო ფერაძე

**ტრენერები:** ნატო ფერაძე; დიმიტრი ოდიშვილი; მამუკა ბენაშვილი; გიორგი ბუცხრიკიძე, თორნიკე ათაბეგაშვილი; ნიკა ჯაფიაშვილი

სწავლის შედეგი	უნარები / კომპეტენციები	სწავლების მეთოდი	პრაქტიკა / თეორია	სასწავლო გარემო	შეფასების ინსტრუმენტი	ხანგრძლივობა
მსხვილფეხა ცხოველთა შენახვის სისტემების აღწერა	მერძეული, მეხორცეული და კომბინირებული მიმართულების ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის შენახვის სისტემები: ბაგური , და საძოვრული შენახვა	ლექცია/ დემონსტრაცია/ პრაქტიკა	თეორია/პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით , ტესტირება	12
მსხვილფეხა ცხოველთა სადგომის მოწესრიგება-დატვირთვა	მსხვილფეხა პირუტყვის სადგომის მოწესრიგება და დატვირთვა ცხოველის ჯიშისა და სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად ; უსაფრთხოება ცხოველთა ნ მუშაობისას ; ცხოველთა ფიქსაცია; ზოოჰიგიენური პარამეტრების დაცვა ( ტემპერატურა, მავნე აირების შემცველობა, განათება, ქვეშაფენი, ); ნაკვლგამტანი	ლექცია/ დემონსტრაცია/ პრაქტიკა /ვიდეო გაკვეთილი	თეორია/პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით , ტესტირება	16



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



Supported by

**Plantahof**

	სისტემის, საწველი სისტემის, საკვების დამაქუცმაცებელი დანადგარების მუშაობა)					
მსხვილფეხა ცხოველთა გენეტიკის და მოშენების კანონზომიერებების აღწერა	სახორცე, სარძეო და კომბინირებული ჯიშების შერჩევა მეურნეობის მიზნებიდან გამომდინარე	ლექცია /ვიდეო გაკვეთილი	თეორია	აუდიტორია/ონლაინ პორტალი	გამოკითხვა/ტესტირება	8
ცხოველთა გამრავლება	ბუნებრივი და ხელოვნური განაყოფიერების მეთოდები ; ახურებული ცხოველის დამახასიათებელი ნიშნებით გამოვლენა; სანაშენე ცხოველის წარმომავლობის და პროდუქტიულობის დოკუმენტაციის ინტერპრეტირება(სანაშენე ბარათი )	ლექცია /პრაქტიკა	თეორია /პრაქტიკა	ფერმა/ აუდიტორია	გამოკითხვა/ტესტირება	8
მსხვილფეხა ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია	იდენტიფიკაცია- რეგისტრაციის და მიკვლევადობის მნიშვნელობა; ჩანაწერები ცხოველთა პროდუქტიულობის, ჯანმრთელობის, აღწარმოების საკითხებში	ლექცია / ვიდეო გაკვეთილი	თეორია	ონლაინ პორტალი	პრაქტიკული დავალება	4
მსხვილფეხა ცხოველთა საკვებზე მოთხოვნილების აღწერა	მსხვილფეხა ცხოველის საკვებად გამოსაყენებელი საშუალებები, კვების სხვადასხვა ტიპები და საკვები პროდუქტები ხბოს კვება	ლექცია	თეორია	ონლაინ პორტალი	გამოკითხვა/ტესტი	8
პროფესიონალური წველა და ხარისხიანი რძის მიღება	ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით ცხოველის მომზადება წველისთვის, წველისწინა და	ლექცია /დემონსტრაცია / პრაქტიკა	თეორია/პრაქტიკა	სასწავლო აუდიტორია/ ფერმა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	8



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



Supported by

**Plantahof**

	<p>წველისშემდგომი ცურის დეზინფექცია; ფარულ მასტიტებზე დიაგნოსტიკა და ტესტის პასუხების ინტერპრეტირება; ჩანაწერების წარმოება</p>					
--	--	--	--	--	--	--

**სასწავლო მასალები** - საქონლის მოვლა და შენახვა; საქონლის კეთილდღეობაზე ზრუნვა; ცხოველთა პროდუქტიულობის შეფასება; საქონლის შესაფერისი ჯიშის შერჩევა; ცხოველთა განაყოფიერება; პროფესიონალური წველა

**სასწავლო გარემო:** ფერმა, აუდიტორია, ონლაინ პორტალი

თეორიული და პრაქტიკული გაკვეთილებისთვის:

- საკლასო ოთახი (სასწავლო აუდიტორიაში და ფერმის აუდიტორიაში )შესაბამისი აღჭურვილობით (მაგიდა, სკამები, კომპიუტერი,პროექტორი, პრინტერი, დაფები, მარკერები)
- მსხვილფეხა საქონლის ფერმა, შესაბამისი საქონლითა და აღჭურვილობით
- საძოვარი, შესაბამისი აღჭურვილობით
- საწველი დარბაზი ( ინდივიდუალური და სტაციონარული)
- სავარჯიშო ცური
- კალიფორნია მასტიტის ტესტები და სადიაგნოსტიკო დაფა
- საკონტროლო აღრიცხვის აპარატი
- ხბოს გალია
- საყურე ნომრის დასამაგრებელი მამა
- ცხოველთა აღწარმოებისთვის საჭირო დოკუმენტაცია
- საფიქსაციო დაზგა და ინვენტარი
- ზონდი (ხბოს რძის მისაცემი)
- მასალა-ნედლეული
- პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა (ხალათი, ბახილი, ქუდი, ერთჯერადი ხელთათმანები)

- ნიჩაბი
- ფიწალი

### სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტები

სტუდენტების შეფასება მოხდება პრაქტიკული და თეორიული გამოცდის საფუძველზე

პრაქტიკული გამოცდის დროს მსმენელი ასრულებს კონკრეტულ დავალებას, რომელიც დაკავშირებულია ფერმაში ყოველდღიურად განსახორციელებელ სამუშაოებთან. პრაქტიკული დავალება შესაძლოა შეფასდეს როგორც შესრულების პროცესში (დაკვირვებით) ასევე შეფასდეს მხოლოდ შესრულებული სამუშაო (დავალების პროდუქტი). გამომდელი აკვირდება და/ან აფასებს შესრულებულ სამუშაოს ჩეკლისტის საფუძველზე, მაქსიმალური ქულით - 6.

თეორიული გამოცდა მოიცავს წერილობით / ან ზეპირ გამოცდას, რომლის მაქსიმალური ქულაა - 6

გამოცდებზე შეფასება ხდება 0.25-იანი ბიჯებით.

საბოლოო შეფასება = 0.6X პრაქტიკული გამოცდის შედეგი + 0.4X თეორიული გამოცდის შედეგი

გამოცდა ჩაითვლება წარმატებულად, თუ მსმენელი მიიღებს 4-ზე მაღალ შეფასებას

გამოცდაში ჩაჭრის შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. პირველი განმეორებითი გამოცდა უფასოა. მეორე განმეორებითი გამოცდის საფასურია 200 ლარი. მეორე გამოცდაზე ჩაჭრის შემდგომ, მსმენელს უფლება აქვს, თავიდან დარეგისტრირდეს პროგრამაზე, გადაიხადოს საფასური და გაიაროს კურსი სრულად.